ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს
სხდომის ოქმი N1

---22-- ---03-- 2022 წელი ქ.ამბროლაური

2022 წლის 22 მარტს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა გენდერული თანსაწორობის საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ასლან საგანელიძე;
2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - მამუკა ხიმშიაშვილი;
3. სხდომის მდივანი - ბელა აბაიშვილი;
4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი-მანანა გოგობერიშვილი;

საბჭოს წევრები:

ზაალი მეტრეველი, დავით გოგსაძე, მერაბი ჩიტალაძე, სიმონი ჭელიძე, ბაქარ ბაკურაძე, ელიზბარ კობახიძე, თენგიზ გელოვნიშვილი, პაატა მაჭანკალაძე, მაია კაციტაძე, ნათია მარგველიძე, მაკა გოცირიძე, ესმა მაისაშვილი, ნინო ჯოხაძე, ლელა რობაქიძე, ელევნორა ბედენაშვილი, ერეკლე დოხნაძე, მიხეილ დალაქიშვილი, მერაბ გეწაძე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ ასლან საგანელიძემ სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა. მან საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა დასწრებისთვის და გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც საბჭომ ერთხმად დაამტკიცა.

დღის წესრიგი:

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცება;

ასლან საგანელიძემ გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ღონისძიებათა 2022-2023 წლების სტრატეგია, სამოქმედო გეგმის მიზანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შექმნილი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზებული მექანიზმი, გენდერულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება. სამოქმედო გეგმის ამოცანაა სპორტულ ცხოვრებაში გოგონათა და ქალთა ჩართულობის პოპულარიზაცია, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში ჩატარდეს მოსახლეობის საჭიროებათა კვლევა გენდერულ

ჭრილში, შესწავლილი იქნეს სოფლად მცხოვრები ქალების, მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი მშობლებისა და მრავალშვილიანი ოჯახების საჭიროებები გენდერულ ჭრილში, მოსახლეობისთვის სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, გატარდეს ღონისძიებები ქალებზე და გოგონებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენციისათვის.

ვენდერული საბჭოს წევრებმა შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის გზებზე ისაუბრეს, ასევე შეთანხმდნენ, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით აუცილებელია ლიდერი ქალების გამოვლენა და მათთან ერთად კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენა: „აუცილებელია თითოეულ სოფელში და თემში ლიდერი ქალების გამოკვეთა, ამ მიზნით კი უნდა მივმართოთ მერის წარმომადგენლებს, რომლებიც შერჩევის პროცესში ჩაერთვებიან და დახმარებას გაგვიწევენ აგრეთვე ადგილზე მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზებაში. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „ამ პროცესებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დეპუტატების ჩართულობა, რაც ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენის და საორგანიზაციო საკითხების მოგვარების კუთხით კიდევ უფრო მეტ ეფექტურ შედეგს გამოიღებს“

აზრი გამოთქვა: ვენდერული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მამუკა ხიმშიაშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ კი საბჭოს წევრებისათვის ჩატარდება ტრენინგი, რომელიც მეტ ინფორმაციას მისცემს თითეულ წევრს, მათ გააცნობს ახალ მიდგომებს და ამოცანებს, რათა საბჭოს სრულმა შემადგენლობამ უფრო ნაყოფიერად იმუშაოს, დაგეგმოს სხვადასხვა აქტივობები და უპასუხოს ქვეყნის ახალ გამოწვევებს. საბჭომ მხარი დაუჭირა ასახულ ინიციატივას.

საბჭოს თავმჯდომარემ ასლან საგანელიძემ კენჭისყრაზე დააყენა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ვენდერული თანასწორობის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა, რაც ერთხმად იქნა მიღებული.

სხდომის თავმჯდომარე:	ასლან საგანელიძე
სხდომის თავმჯდომარის მოადგილე:	მამუკა ხიმშიაშვილი
სხდომის წევრები:	ზაალი მეტრეველი
	დავით გოგსაძე
	მერაბი ჩიტალაძე
	სიმონი ჭელიძე
	ბაქარ ბაკურაძე

ელიზბარ კობახიძე

თენგიზ გელოვნიშვილი

პაატა მაჭანკალაძე

მაია კაციტაძე

ნათია მარგველიძე

მაკა გოცირიძე

ესმა მაისაშვილი

ნინო ჯოხაძე

ლელა რობაქიძე

ელევნორა ბედენაშვილი

ერეკლე დოხნაძე

მიხეილ დალაქიშვილი

მერაბ გეწაძე

მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი:

მანანა გოგობერიშვილი

სხდომის მდივანი:

ბელა აბაიშვილი